



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

მცხეთის რაიონული სასამართლოს
მაგისტრი მოსამართლე ყაზბეგის
მუნიციპალიტეტში
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელი: შენიშვნა-1

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა	1. ს/კ 204952676	1. 0179, ქ. თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქ. №27/29, ბინა №13;
2. ზაზა წიკლაური	2. პ/ნ 01009009436	2. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას V კვარტალი, I კორპუსი, ბინა №43
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-2</i>

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	1. 0322222773			1. greenalt@greenalt.com
		2. 599235105	2. 0322223874	2. zazatsiklauri@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

1. ნინო გუჯარაიძე	1. 01015010047	1. 0179, ქ. თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქ. №27/29, ბინა №13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	1. 0322222773	1. 599902520	1. 0322223874	1. ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შენიშვნა-5

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა		ყაზბეგი 4700, დაბა სტეფანწმინდა, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. №1
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-6</i>

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ

სასამართლო დანაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საბანი

შენიშვნა-11

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით შეთანხმებულად ჩაითვალია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაცემული იქნა მშენებლობის ნებართვა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით იმავე დღეს გაიცა მშენებლობის ნებართვა №91, რომლითაც განისაზღვრა მშენებლობის ნებართვის ვადა 2017 წლის 1 მარტამდე. დასახელებული მშენებლობის ნებართვის მიხედვით დამკვეთს წარმოადგენს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი; დ.სტეფანწმინდა სოფ.გველეთი, სოფ.ცდო; შენობის ფუნქციური დანიშნულება: 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი; შენობა-ნაგებობის კლასი: IV; შენობა-ნაგებობის ტექნიკური პარამეტრები: ხაზობრივი ნაგებობა, საპროექტო-საჰაერო ხაზის ტრასის სიგრძე - 13,685კმ, საყრდენების რაოდენობა - 42 ცალი, მშენებლობის პირობები და ეტაპები.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა" "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (შემდგომში - ორპუსის კონვენცია) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-9 მუხლის მიხედვით წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს (იხ. ასოციაციის წესდება), ხოლო მოსარჩელე ზაზა წიკლაური არის ყაზბეგის რაიონის მკვიდრი, სადაც უშუალოდ ხორციელდება ახალი, 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა; მიგვაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ჩვენს კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. შესაბამისად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს ჩვენი დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით შეთანხმებულად ჩაითვალია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიანი გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაცემული იქნა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიხედვით ირკვევა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას იხელმძღვანელა: "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 16.2 მუხლის "ნ" ქვეპუნქტით, 54-ე მუხლით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების 6.1 მუხლისა და 12.4 მუხლით, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII თავის 39-ე მუხლით.

მტკიცებულება:

ა. დანართი №1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 მარტის №163 ბრძანება

2. ფაქტობრივი გარემოება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით იმავე დღეს გაიცა მშენებლობის ნებართვა №91, რომლითაც განისაზღვრა მშენებლობის ნებართვის ვადა 2017 წლის 1 მარტამდე. დასახელებული მშენებლობის ნებართვის მიხედვით დამკვეთს წარმოადგენს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი; დ.სტეფანწმინდა სოფ.გველეთი, სოფ.ცდო; შენობის ფუნქციური დანიშნულება: 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიანი გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი; შენობა-ნაგებობის კლასი: IV; შენობა-ნაგებობის ტექნიკური პარამეტრები: ხაზობრივი ნაგებობა, საპროექტო-საჰაერო ხაზის ტრასის სიგრძე - 13,685კმ, საყრდენების რაოდენობა - 42 ცალი, მშენებლობის პირობები და ეტაპები.

მტკიცებულება:

ა. დანართი №2. 2016 წლის 1 მარტის მშენებლობის ნებართვა №91

3. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ 2015 წლის 30 დეკემბერს მიმართა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელს ახალი 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიანის გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების განსაზღვრისათვის. განცხადებასთან ერთად წარდგენილი იყო 110 კვ. ეგხ „დარიალის“ რეკონსტრუქციის (220 კვ ეგხ-ს გაბარიტებში) პროექტი და 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი“-ს პროექტირებისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ღვარცოფული და ზვავსაშიში ადგილების კვლევის შედეგები.

მტკიცებულება:

ა. დანართი №3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას 2015 წლის 30 დეკემბერის №5802/07 წერილი, ტომი-1 “ 110 კვ. ეგხ „დარიალის“ რეკონსტრუქცია (220 კვ ეგხ-ს გაბარიტებში) ” და ტომი-2 „220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი“-ს პროექტირებისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ღვარცოფული და ზვავსაშიში ადგილების კვლევის შედეგები”

4. ფაქტობრივი გარემოება

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" 2015 წლის 4 დეკემბერს №5384/07 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის 11.1 მუხლის თანახმად მოითხოვა სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ეგხ "დარიალი 110-ის" რეკონსტრუქციის პროექტის გათავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან. სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს წერილში მითითებულია, რომ 2015 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავრობას, სს

"ღარიალი ენერჯის" და სს"სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის გაფორმდა "გადამცემი ხაზის განვითარების" ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის "ღარიალი-110"-ის რეკონსტრუქცია, რომ აღნიშნული ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლის შემდგომ გამოძულებული ელექტროენერჯის საქართველოს ენერჯისისტემაში ჩართვით, რომ მხედველობაშია მისაღები ასევე მოცემული მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის სამომავლო განვითარების გეგმაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეზობელ ენერჯისისტემასთან კავშირის ხარისხს.

მტკიცებულება:

დანართი №3. სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 2015 წლის 04 დეკემბრის №5384/07 წერილი

5. ფაქტობრივი გარემოება

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ზემოაღნიშნულ წერილში ასევე მიუთითა, რომ დაბა სტეფანწმინდის მიმდებარედ განთავსებულ 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე პროექტის მიხედვით რეკონსტრუირებული ეგხ-ს დერეფანი პრაქტიკულად გაიმეორებს არსებული ხაზის დერეფანს და მხოლოდ ნაწილზე (საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურამდე) ათვისებული იქნება ახალი დერეფანი. ჯამში საპროექტო ეგხ-ს სიგრძე შეადგენს 13.685 კმ-ს. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანებით სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის "ღარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტი გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან.

მტკიცებულება:

დანართი №4: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 05 იანვრის №ი-11 ბრძანება

6. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანებით "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის 4.1 მუხლის "ლ" ქვეპუნქტისა და 4.4 მუხლის საფუძველზე დამტკიცდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №7; 16.02.2016 წლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 110 კილოვატიან (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის "ღარიალი"-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე განუსაზღვრელი ვადით.

მტკიცებულება:

დანართი №5: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანება

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 მარტის №163 ბრძანება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ თანმდევი სამართლებრივი შედეგებით: კერძოდ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის მშენებლობის ნებართვა №91.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, შესაბამისად, იგი არის ადმინისტრაციულ ორგანო თანახმად სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტისა, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერის სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

სზაკ-ის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლითაც დამტკიცდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მაშასადამე, აღნიშნული სამართლებრივი აქტით კონკრეტულ სუბიექტს - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს წარმოეშვა ხაზობრივ ნაგებობაზე მშენებლობის განხორციელების უფლებამოსილება.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

აზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით იმავე დღეს გაიცა მშენებლობის ნებართვა №91, რომლითაც განისაზღვრა მშენებლობის ნებართვის ვადა 2017 წლის 1 მარტამდე. დასახელებული მშენებლობის ნებართვის მიხედვით დამკვეთს წარმოადგენს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი; დ.სტეფანწმინდა სოფ.გველეთი, სოფ.ცდო; შენობის ფუნქციური დანიშნულება: 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი; შენობა-ნაგებობის კლასი: IV; შენობა-ნაგებობის ტექნიკური პარამეტრები: ხაზობრივი ნაგებობა, საპროექტო-საჰაერო ხაზის ტრასის სიგრძე - 13,685კმ, საყრდენების რაოდენობა - 42 ცალი, მშენებლობის პირობები და ეტაპები.

მაშასადამე, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი და დადასტურებულია, რომ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს საკუთრებაში არსებობდა ევხ "დარიალი 110", ხოლო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხორციელდება არა

დასახელებული ეგზ "დარიალი 110"-ის რეკონსტრუქცია, არამედ ახალი, 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის სიგრძე შეადგენს 13.685 კმ-ს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 3.50 მუხლის თანახმად, რეკონსტრუქცია არის არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისობრივი განახლების მიზნით; 31-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო მის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს:

ა) ამ დადგენილების შესაბამისად II, III და IV კლასებს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემასა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას; 75.1 მუხლის თანახმად, IV კლასის შენობა-ნაგებობები ხასიათდება რისკის მაღალი ფაქტორით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად მეოთხე კლასს განეკუთვნება - საზოგადოებრივი ნაგებობები – II კატეგორიის ნავთობსადენი და გაზსადენი, III კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზი, II კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა, II კატეგორიის რკინიგზა, II კატეგორიის საავტომობილო გზა, I კატეგორიის ქუჩა; 15.11 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია საზოგადოებრივი ნაგებობის სახეობები და კატეგორიები:

ელექტროგადამცემი ხაზი (კვ): ა) I კატეგორია – 330 კვ და მეტი; ბ) II კატეგორია – 154-220 კვ; (15.03.2012 94) გ) III კატეგორია – 35-110 კვ; დ) IV კატეგორია – 1-20 კვ-მდე; ე) V კატეგორია – 1 კვ-მდე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანებით შეთანხმდა 220 კილოვოლტიანი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცა მშენებლობის ნებართვა სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ გახორციელების შემთხვევა, ვინაიდან 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი წარმოადგენს არა მესამე კატეგორიის ელექტროგადამცემ ხაზს, არამედ მეორე კატეგორიის ელექტროგადამცემ ხაზს, რომლის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შედის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაში და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას თანახმად "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 28-ე მუხლისა.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვა არის ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას.

ამავე კანონის მეორე მუხლის თანახმად, საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია:

- ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უხეშად არის დარღვეული ზემოაღნიშნული ნორმები, რის გამოც ხელყოფილია "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და

სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ლეგიტიმური მიზნები და პრინციპები: ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით სახეზეა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანების თანმდევი სამართლებრივი შედეგებით ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები; "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენცია (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია); "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი ი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1. დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულყოფილად.

შენიშვნა-23

სსკს სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად, მესამე პირად განსახილველ საქმეში ჩაბმული იქნას სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა".

არგუმენტაცია:

სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად მესამე პირად განსახილველ საქმეში ჩაბმული იქნას სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", ვინაიდან იგი წარმოადგენს სადავო მატერიალური სამართალური თერობის მონაწილე სუბიექტს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

შენიშვნა-25

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-26

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. [სახაზინო კოდეები](#))

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? ღიას არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

ღიას მტკიცებულება:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე მორიგება შეუძლებელია.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

ღიას მორიგების პირობები:

არა რადგან

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მთავარ სხდომაზე მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

დანართი №1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 მარტის №163 ბრძანება, 1 ფურცელი;

დანართი №2. 2016 წლის 1 მარტის მშენებლობის ნებართვა №91, 3 ფურცელი;

დანართი №3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას 2015 წლის 30 დეკემბრის №5802/07 წერილი, ტომი-1 “110 კვ. ეგხ „დარიალის” რეკონსტრუქცია (220 კვ ეგხ-ს გაბარიტებში)” და ტომი-2 „220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი “დარიალი“-ს პროექტირებისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ღვარცოფული და ზეგავსაშიში ადგილების კვლევის შედეგები” - 147 ფურცელი;

დანართი №4. სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 2015 წლის 4 დეკემბრის №5384/07 წერილი - 2 ფურცელი;

დანართი №5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანება - 1 ფურცელი;

დანართი №6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №ი-91 ბრძანება -2 ფურცელი;

დანართი №7. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წესდება - 7 ფურცელი;

დანართი №8. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი №9. რწმუნებულება - 1 ფურცელი;

დანართი №10. ზაზა წიკლაურის პირადობის მოწმობის ასლი, 1 ფურცელი;

დანართი №11. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 168

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი ზაზა წიკლაური	27/05/2016 წ.
--	--	---------------

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შეკების თარიღი

შეესებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.